მუშარცამ სოც.-ფედ. ქართ. საბჭ. პარტიის

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხასაზლის ქუჩა, № 8
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელი
4 „ 150,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 500 ოთხშაბათი, ივნისის 20 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

## ბულგარეთის ამბები

ამ ჟამად მეტად საგულისხმო ამბები ხდება ბულგარეთში ეგრედ წოდებულ სამხედრო, „სათადარიგო ოფიცრების ლიგის“ ინიციატივით მოხდა ძველი მთავრობის, სტამბულინსკის კაბინეტის, დამხობა. ბულგარეთის პოლიტიკურ ცხოვრების მესაჭედ ამიერიდან ცნობილი კაპიტალისტი ცანკოვი ევლინება ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას.

ბულგარეთის მრავალ სოფლებსა და დაბებში წარმოებს სისხლის მღვრელი შეტაკებები ახალ მთავრობის სამხედრო და ადმინისტრატიულ ძალებთან. საზოგადოებრივი წრეები ორ ბანაკადაა გაყოფილი; მოწინააღმდეგე რაზმების შემბრძოლი ... ლნი უკვე მთელი კვირაა, რაც გრძელდება.

საზოგადოებრივ ჯგუფების ძალთა განწყობილება დიდი ხნიდან ამზადებდა გადატრიალების პირობებს ბულგარეთში. სტამბულინსკის მთავრობა, რომელიც „დემოკრატიული“ დაპირებებით კვებავდა მცხოვრებთა უმრავლესობას, ერთ და იმავე დროს სცდილობდა მსხვილი მიწათმფლობელთა —აგრარიების ინტერესების დაცვას და კაპიტალისტური ბურჟუაზიის იმპერიალისტური სულისკვეთების წინადადებას ბულგარეთის ახალი ომებისათვის მზადებით. მასსა ფაქტიურად, არსებითად ჩამოსცილდა ძველ ხელისუფლებას. ქალაქის მრეწველთა გავლენა ბულგარეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე თანდათან გაძლიერდა. დღეს კი ჩვენ ვხედავთ, რომ ბულგარეთის ნაციონალისტურ და იმპერიალისტურ ბურჟუაზიამ ხელთ იგდო სახელმწიფოებრივი ცხოვრების სადავეები.

ბულგარეთის ამბები ახალ მომენტებს ანასვნებს საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციას. ჩვენ ვიცით, რომ ევროპის ომის მიწურულიდან თანდათან ძლიერდება ბურჟუაზიული რეაქცია ევროპის კონტინენტზე. იტალიაში ფაქტას „დემოკრატიზმი“ ფაშიზმად და მუსოლინიზმით შეიცვალა. მსგავსი მოვლენები ხდება სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. საფრანგეთის აგრესიული იმპერიალიზმი სცდილობს განვითარების კულმინაციურ წერტილის მიღწევას. მისი პრაქტიკული პოლიტიკა საკმაო გაბედულ ნაბიჯებს შეიცავს. დიდი ბრიტანეთის „პაციფისტი“ ლენდ-ლორდები უკვე არიან საომარ ფეხზე განწყობილნი. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ კერზონის „ნოტების ამხედრებამ“ საკმაო აშკარად დაადასტურა ინგლისის ბურჟუაზიული რეაქციის გაფართოება-გაძლიერება. ანალოგიური სურათი იშლება მცირე ანტანტის საზღვრებშიაც. პოლონეთის ბურჟუაზია დიდი ხანია, რაც სამხედრო ძალების მობილიზაციას აწარმოებს. პილსუდსკის შლიახტური მთავრობა საომარ ჰანგებზე სცდილობს ამღერებას. ასე ითქმის მცირე ანტანტის დარჩენ შემადგენელ ნაწილებზე. კაპიტალისტური მსოფლიო გადამწყვეტ ბრძოლისათვის ემზადება. კაპიტალის სამუდამო ბატონობის განმტკიცება დაქირავებულ შრომაზე წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიულ რეაქციის ძირითად მიზანს.

„სამხედრო“ გადატრიალება, რომელიც მოხდა ბულგარეთში, მომზადებული იყო მთელ რიგ პირობებით. მას ხელს უწყობდა ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება. აგრარიების, წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების პოლიტიკური ბატონობის პერიოდი განვლო კაპიტალისტურ ევროპის ისტორიამ. მაგრამ შემცდარი იქნება ბულგარეთის ამბების „ადგილობრივ ძალთა განწყობილებით“ ახსნა-განმარტება. უეჭველია, საერთაშორისო ბურჟუაზიულ რეაქციამ შესაფერისი გავლენა მოახდინა სტამბულინსკის ტრაგედიაზე, ბულგარეთში ახალ გადატრიალებაზე. ცანკოვის გამარჯვება ერთ, ისეთ მომენტთაგანია, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარების ხლართს. იგი დასკვნაა, უკეთ რომ ვსთქვათ—ბუნებრივი გაგრძელებაა იმ ანალოგიურ ფაქტების, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა რესპუბლიკების წინაშე ბულგარეთის გადატრიალება შლის მოვლენათა ახალ რიგებს. ის ამბები, რომლებიც ქმნის ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებას, რევოლიუციონურ ფედერაციისაგან მოითხოვს რევოლიუციონურ და სამხედრო ტაქტიკის მიზანშეწონილობას. კომინტერნმა უნდა აამოძრაოს ევროპის პარტიული მასსები და სოციალისტურად მოაზროვნე მუშების ქვედა ფენები საერთაშორისო კაპიტალთან დაპირისპირებისათვის. ევროპის პროლეტარიატი მოელის მსოფლიო პროლეტარული გადატრიალების მთავარ შტაბიდან გადამჭრელ სიტყვას და პრაქტიკულ გეგმებს.

რადიო-დეპეშების ცნობების თანახმად, ბულგარეთის ახალ მთავრობის შემადგენლობაში მონაწილეობას მიიღებს ორი სოც.-დემოკრატი. აქ არაფერია მოულოდნელი. რეფორმისტული მიმდინარეობა ეგუება ბურჟუაზიის დიქტატურას. პარლამენტარისტული ბრძოლის თვალსაზრისის მომარჯვება გარკვეულ დავალებას აკისრებს კაპიტალის იანიჩარებს. ბულგარეთის კაპიტალისტური ბურჟუაზია სცდილობს გაძლიერებას, პოლიტიკური ძალა-უფლების შენარჩუნებას. ეს მას შეუძლია, როგორც გულუბრყვილოდ აცხადებს პრეზიდენტ ცანკოვი, მუშათა მასსების თანაგრძნობის დამსახურებით. ამისათვის საჭიროა მშრომელი მასსის რიგებში შტრეიკბრეხერების კადრის გაჩენა. რეფორმისტული პარტიები გამოდის ამ სამარცხვინო როლის ასასრულებლად.

ლამ რუხაძე, შიო მღვიმელი, ობოლი მუშა, პოლიო იოსელიანი, დემნა შენგელაია, გ. ნადირაძე, ვ. ათუხაძე, გობრონ აგარელი, პ. კობახიძე, და სხ.

— **სანიტართა სამეულთა საყურადღებოდ** ტფილისში გახშირდა ნაყინის, ლიმონადის და კვასის სახარინით გაკეთება, რომლის წყალობით გახშირდა კუჭის ავადმყოფობა.

— **ბამბის დამზადება.** საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ხელშეკრულობა დასდო სპარსეთის ბამბის მსხვილ მწარმოებლებთან 500,000 ფუთი საუკეთესო ღირსების ბამბის დამზადების შესახებ.

— წელს ტფ. 1-ლ ვაჟთა ტეხნიკუმში (ყოფ. 1 გიმნაზია) პირველად ქართულ ენაზე დაამთავრეს კურსი შემდეგმა მოწაფეებმა: 1. ბაზოვი გერცელ 2. გამრეკელი ნიკ. 3 გაჩეჩილაძე დავ. 4. კობიაშვილი ლევ. 5. ყუფარაძე გრ. 6. ჩანტლაძე ვას. 7. თხინვალელი გიორ. 8. ყავრიშვილი დ. 9. ლვინეფაძე სევ. 10. მენალარიშვილი კონ. 11. გოგობერიძე გრ. 12. ცერცვაძე ნიკ. 13. გელოვანი მიხ. 14. ყიფშიძე იესე, 15. მანველიძე ვიქ

— **კ. გამსახურდია—ექსპრესიონიზმი და თეატრი.** კვირის მიწურულს ხელოვანთა სასახლეში კონსტანტინე გამსახურდია წარმოსთქვამს სიტყვას „ექსპესიონიზმი და თეატრი.“ თეატრის გენეზისი ინდიური, ჩინური, ბერძნული თეატრი. შექსპირის თეატრი ფუძეა. თეატრის კრიზისი. რაინჰორტი, ექსპრესიონიზმი თეატრში.

ქართული თეატრის გუშინ და ხვალ. მარჯანიშვილი მომავლის გეზი ქართული კულტურისა და თეატრის Lux ex occidentis სადისპუტოდ მოწვეულნი არიან; კ. მარჯანიშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი, გრ. რობაქიძე, ი. ტატიშვილი, ა. ჰუმბაძე. კ. აბაშიძე, კონ. ანდრონიკაშვილი, ა. ფალავა. შესვლა უფასოა.

— **ჩაი.** ბათომიდან მოსულ ცნობებით ჩაქვის რაიონში წრეულს კარგი მოსავალია ჩაისა.

— **წვიმები.** ამ ბოლო დღეებში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოვიდა წვიმა, რამაც ცოტა მოალბო გამშრალი გვალვისაგან ნათესი.

— **ჰიდრო-სადგური აჭარაში.** ამ მოკლე ხანში განზრახულია აჭარაში ჰიდრო სადგურისა შენება.

**მატყლის დამზადება.** ამიერ-კავკასიის ცენტრალური კოოპ. კავშირი ამზადებს 1 ივლისისთვის 20.000 ფუთ მატყლს.

— **შეფობა ბავშვებზე.** ამ. კავ. ცენ. კავშირმა აილო შეფობა ბავშთა კოლექტორზე, რომელსაც დაუნიშნა 75 მილიონი მანეთის სურსათ სანოვაგე ყოველ თვიურად.

— **სამხედრო რევტრიბუნალი.** სამხედრო რევტრიბუნალის სესია გაემგზავრა ბათომს ორი კვირით სამხედრო ნაწილებში საქმეების გასარჩევით.

— **ევრეინოვი და კამენსკი.** ტფილისში ჩამოვიდნენ ცნობილი რეჟისორი ევრეინოვი და პოეტი კამენსკი. ევრეინოვი წაიკითხავს ლექციას: „ლიტერატურული პარაჟი“ ხოლო კამენსკი-ლიტერატურულ მოსკოვზე.

— **სასკოლო ასაკამდი აღზრდის** მთავარმართველობამ გაუგზავნა სახ. განათ. განყ. ცირკულიარი, რომლითაც წინადადებას აძლევს განყოფილებებს. მიიღონ გადაჭრილი ზომები, რათა გახსნილ იქნას სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები, სადაც ასეთები ჯერ კიდევ არ არსებობენ.

— **ექსკურსია რუსეთიდან.** ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვის მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა ერთი ჯგუფი, რომლის მიზანია დაათვალიეროს საქართველოს უმთავრესი ქალაქები და სიძველენი.

— **ყალბი წამლების დამზადებისათვის.** აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი 22 ივნისს საჯარო სხდომაზე გაარჩევს მოქ. ანტონოვის ცნობილ საქმეს, რომელსაც ბრალად ედება აღნიშნულ საავადმყოფოსათვის ყალბი წამლების დამზადება პირადი სარგებლობის მიზნით.

— **გადასახადის აკრეფის შეჩერება.** ტფ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო შეჩერებულ იქნეს ტფილისის მაზრაში გაწერილი სარწყავი (სამელიორაციო) გადასახადი, ვინაიდან ხსენებული გადასახადი არ არის სწორედ გაწერილი აგრეთვე დაევალა საადგილ-მამულო განყოფილებას გამოარკვიოს რაოდენობა იმ მიწებისა, რომლებიც ირწყვებიან სარწყავ არხის საშუალებით.

— **თეატრი მუშებისათვის.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა გადასდვა ნახევარი მილიარდი მანეთი მუშებისათვის მოსკოვის მეორე სამხატვრო სტუდიის წარმოდგენების მოსაწყობათ. პრეზიდიუმმა დაადგინა აგრეთვე დაევალოს ამხ. გურგენიძეს სახ. გან. კომისარიატთან შეთანხმებით გამოარკვიოს წარმოდგენის ადგილი და თუ შესაძლებელი იქნება წარმოდგენები გაიმართოს ნაძალადევის თეატრში.

— **შტატების შემცირება.** შტატების შემცირებისათვის ტფ. აღმასკომის პრეზიდ. დადგენილებით უნდა მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ: 1) ქართული ენის ცოდნა, 2) სამსახურის ხანგრძლივობა, 3) თანამშრომლებთა შრომის უნარი, 4) პარტიული მიმართულება. შემცირება უნდა მოხდეს გან. გამგეების ციერ ადგილკომების და დაინტერესებულ პროფ. კავშირთა წარმომადგენლებთან ერთად.

**შრომის ბირჟა.** 18 ივნისს გამოცხადდა უმუშევარი 421 მამაკაცი, 304 ქალი, ახლად ჩაეწერა—94 მამაკაცი, 25 ქალი მოთხოვნილება იყო 92 მამაკაცის და 21 ქალის, გაიგზავნა სამუშაოზე 22 მამაკაცი, 21 ქალი. აღდგენილია უფლებაში 3 მამაკაცი.

— **„ცხოვრების ქარიშხალი“**—სომხის ცნობილმა დრამატურგმა პეტროსიანმა დასწერა ახალი პიესა „ცხოვრების ქარიშხალი“ რომელიც ითარგმნება რუსულათ და ქართულათ.

— **სავალიუტო ბირჟა**—19 ივნისის ოფიციალური კურსი: ჩერვონეცი—14,050 ათ., გირვანქა სტერლინგი—15,050 ათ., დოლარი—3,400 ათ., ფრანკი—170 ათასი და სხ.

**საქონლის ბირჟა** 19 ივნისს საქონლის ბირჟაზე გამოცოცხლება დაეტყო. მოთხოვნილებაა: ქვის მარილის, კუბანის ფქვილის, მუშის ფეხსაცმლის, ქინაქინის, შაბი ამანის, თამბაქოსი, სპირტის, მანუფაქტურისა და სხ.

## რადიო-დეპეშები

**რუსეთი და ინგლისი**

**პარიჟი.** 14 ივნისი. საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ საუკეთესო შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა რუსეთის ნოტამ ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე. ინგლისში დარწმუნებული არიან, რომ რუსეთის მთავრობისაგან მიღებული პასუხი ბოლოს მოუღებს რუს.-ინგლისის კონფლიქტს.

„ჰუმანიტე“ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გამო სწერს: „თავის ძლევამოსილობაში დარწმუნებულ ინგლისს სურდა ომი, მაგრამ დამარცხდა. ჯაცმა ნათელი გონებით, მტკიცე და ამავე დროს რბილი ხასიათით, სახელათ ჩიჩერინმა, დაამარცხა ის“.

**გადატრიალება ბულგარეთში**

**ვენა.** 16 ივნისი. იტყობინებიან, რომ ბულგარეთის მთავრობაში ახალი ცვლილებები მოხდება. მთავრობაში შევა 2 მენშევიკი და აგრეთვე კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელგანთქმული დეპუტატი პასტუხოვი.

**ვენა.** 16 ივნისი. რუმინეთის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ბულგარეთის მთავრობამ სასტიკი დევნა დაუწყო კომუნისტებს. სოფიაში, კომუნისტური პარტიის ცენტ. კომიტ. ბინაზე მთავრობის ჯარმა ჩხრეკა მოახდინა. კომუნისტ. პარტიის ცენტ. ორგანო „რაბოტნიჩესკი ვესტნიკი“ მოუწოდებს მუშებს, ბრძოლა გამოუცხადონ ახალ მთავრობას, რომელიც სამხედრო დიქტატურას ამყარებს.

**რომი.** 15 ივნისი. სტამბულინსკი შეიპყრეს სლავონიცის მახლობლად იუსტიციის ყოფილ მინისტრთან დუბარინოვთან და რამოდენიმე დეპუტატებთან ერთად.

სოფიიდან იტყობინებიან, რომ სტამბულინსკი გაქცევის ცდის დროს, მოკლულ იქნა.

**ვენა.** ვენის პოლიტიკურ წრეების ცნობით, ბულგარეთის ახალ მთავრობის მდგომარეობა განმტკიცდა. გლეხთა დაურაზმავი და სპორადიული წინააღმდეგობა დაძლეულია. გადატრიალებისათვის მოხერხებული დროის შერჩევის და აგრეთვე აგრარიების პარტიის თითქმის ყველა ლიდერების თავის დროზე დაპატიმრების გამო.

ახალი მთავრობის საგარეო მდგომარეობა აგრეთვე განმტკიცდა. მცირე ანტანტის 15 ივნისისათვის დანიშნული ჩარევა, ბელგრადში მყოფ ინგლისის ელჩის ზეგავლენით გადადებულია.

**ვენა.** 16 ივნისი. სამხრეთ-სლავიიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გლეხებთან ბრძოლაში მოკლულია 10000 კაცზე მეტი, ბულგარეთის მთავრობის ოფიციალური ცნობის თანახმად კი მოკლულია რიცხვი უდრის 500—600 კაცს. ცალ-ცალკე შეტაკებანი გრძელდება; მაგრამ სტამბულინსკის მოკვლის შემდეგ წინააღმდეგობა დაძლეულად უნდა ჩაითვალოს.

## ახალი ამბები

**სულით ავადმყოფების კოლონია** მთავრობამ წინადადება მისცა ტფილისის აღმასკომს ორთაჭალაში ყოფ. მანთაშევის შენობაში მოაწყოს სულით ავადმყოფთა კოლონია.

— **ტერენტი გრანელის საღამო.** ამ მოკლე ხანში ხელოვანთა სასახლეში გაიმართება პოეტ ტერენტი გრანელის საღამო. მონაწილეობენ პოეტები და მწერლები: გალაქტიონ ტაბიძე, ვარ-

## საჰაერო მიმოსვლა მოსკოვსა და ტფილისს შუა

საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულმა მთავრობამ კონსაცია მისცა გერმანულ საზოგადოებას „იუნკერს“-ს, რომელმაც უნდა მოაწყოს და აწარმოოს საჰაერო მიმოსვლა ფინეთის საზღვრებიდან თეირანამდე (სპარსეთი). მთლიანად ამ გზაზედ მიმოსვლა მოეწყობა ერთი წლის შემდეგ, ვინაიდან საჭიროა მოეწყოს გზაში ბევრი მოედნები აპარატების დასაშვებად.

მაგრამ თანახმად პირობისა პირველი ჰაეროპლანი გამოფრინდა მოსკოვიდან ტფილისისაკენ მაისის 31 ს.

გადაფრენის მარშრუტი ასეთია: მოსკოვიდან თბილისამდე და უკან გაბრუნება: მოსკოვი—ხარკოვი—როსტოვი—ნოვოროსსისკი—ბათომი—თბილისი.

მოსკოვ—თბილისის ხაზზე იმუშავებს იუნკერსის სისტემის მონოპლანები და ყოველ გადაფრენაზე ჯერჯერობით გადაიყვანს ხუთ-ხუთ მგზავრს ბარგითა და ფოსტით. თანახმად ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულია ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან იუნკერსის ფირმის მიერ, საფოსტო ამანათებისა. წერილებისა და სხვ. გადატანას აწარმოებს ეს ფირმა მხოლოდ თვითმფრინავებით. მოსკოვ—თბილისის ხაზზე ყველა იმ პუნქტებში, რომელნიც აღნიშნულია მარშრუტში.

ამ ხაზზე იმუშავებენ განსაკუთრებული გამოცდილების მფრინავები. კერძოთ, აგრეთვე თბილისი—ბათომი—ნოვოროსსიისკი—როსტოვის ხაზზე ისეთი მფრინავებიც იმუშავებენ, რომელთაც უმოლვაწიათ სამგზავრო ჰაეროპლანებზე და ისეთი სტაჟი (გამოცდილება) აქვთ, რომ 100.000 კილომეტრზე მეტი სივრცე აქვს გადაფრენილი ყოველ მათგანს.

თვითმფრინავები მოსკოვიდან გამოემგზავრებიან ორშაბათობითა და ხუთშაბათობით. ამავე დღეებს გავლენ თვითმფრინავები თბილისიდანაც.

თვითმფრინავი მოსკოვიდან დილის შვიდ საათზე გამოფრინდება ორშაბათს (ან ხუთშაბათს) და იმავე დღეს საღამოს 6 ს. და 30 წ. როსტოვში დაეშვება, როსტოვში შეჩერდება მხოლოდ ღამით, მეორე დღესვე დილის შვიდ საათზე (ე. ი. სამშაბათს ან პარასკევს) თვით მფრინავი განაგრძობს თავის გზას და იმავე დღეს საღამოს 7 ს. თბილისში მოვა. ამდენივე დრო დასჭირდება თვითმფრინავს უკან დასაბრუნებლათაც, ე. ი. თბილისიდან მოსკოვში გადასაფრენათაც.

მოსკოვიდან თბილისამდე გადაფრენას, როსტოვში ღამით დასასვენებელ დროს მიმატებით, დასჭირდება 36 ს. ფაქტიურით, თუ შესვენების დროს გამოვაკლებთ, იმ შემთხვევაში კი თვითმფრინავი მთელ გზას მოსკოვ—თბილისამდე დაფარავს 24 საათში.

პირველ ივნისიდან უკვე მოხდა თვითმფრინავთა გადაფრენა მოსკოვ—თბილისამდე და უკან დაბრუნება სამჯერ.

პირველ თვითმფრინავზე თბილისში იუნკერსის ფირმის წარმომადგენელნი მოფრინდნენ. მათ მოაწყვეს ხაზის თბილისის სადგური. მათთან ერთად სამი ამერიკელიც ჩამოვიდა, რომელნიც თანამშრომლები არიან ახლო აღმოსავლეთში მომქმედ ამერიკულ კომიტეტის.

მოსულნი გადმოგვცემენ იმ მომხიბვლელ შთაბეჭდილებებს, რომელიც მათზე საჰაერო მოგზაურობამ მოახდინა. თვითმფრინავის კაბინა მეტად ლამაზად და მყუდროთაა მოწყობილი. ფრენა ლაღი და სწორია. სარკის ფართო ფანჯრებიდან ყველაფერს თვალს ადევნებენ მოგზაურნი და ნოვოროსიისკ—ბათომის ხაზზე ბუნების სიმშვენიერით უსაზღვროთ მოხიბლულნი არიან. ამ ხაზზე აპარატი მიდის ნაპირებზე (ფრენის ნორმალურ სიმაღლე 1.000 მეტრამდის ე. ი. 1 და ნახ. ვერსამდის ადის) ზღვის მახლობლად.

განზრახულია ერთი თვის შემდეგ გზა გააგრძელონ ბაქომდის და ღამის დასვენება ნაცვლად როსტოვისა იქნება ნოვოროსიისკში. ეს გზა წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს დიდი ხაზისა: ბერლინი—რიგა—რეველი—პეტროგრადი—თეირანი და ჰამბურგი—სტოკჰოლმი—პეთროგრადი—თეირანი. ამ რიგად საქართველო და ამიერ-კავკასია მოქცეულია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შუა საჰაერო კავშირის ცენტრში, რასაც უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

# კიდევ

სულ ამ მოკლე წარსულში განათლების კომისარმა ცირკულიარული ბრძანება გამოსცა, რომლის ძალით ყველა მისი უწყების დაწესებულებებში ყოველგვარი მიმოწერა უნდა სწარმოებდეს **ქართულ ენაზე** და შემდეგ აღნიშნულია, რომ **დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.**

მიუხედავად ამისა ტფილისში არსებულ ე. წ. ზუბალიშვილის სახელობის სამკითხველო-წიგნთსაცავში, რომელიც განათლების კომისარიატს ექვემდებარება, საქმის წარმოება მაინც რუსულ ენაზე სწარმოებს.

ამ გარემოებას [illegible] რომ ყველა მოსამსახურენი (გარდა ერთისა) ქართველებია—სწორედ გაუგებარია, [illegible] დაწესებულებაში ასეთ მოვლენას ქონდეს ადგილი. თავისთავად ცხადია, რომ აქ კანონის აშკარა დარღვევაა და გვიკვირს რატომ დამნაშავენი პასუხისგებაში არ არიან მიცემული.

რჩით აიხსნება ეს გარემოება?

ვ—ჯი.

# ტფილისის კონსერვატორიების რეორგანიზაციის შესახებ.

ტფილისში ამ ჟამად არსებობს ორი სახელმწიფო კონსერვატორია. ორივე სავსეა მოწაფეებით, მაშასადამე ერთიც საჭირო ყოფილა და მეორეც, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ყოველ სამოსწავლო წლის დამთავრების, თუ სწავლის დაწყების თავში ასტყდება ხოლმე განგაში კონსერვატორიების რეორგანიზაციების შესახებ.

გასულ წელს კონსერვატორიების რეორგანიზაციის საკითხის დასმისას გამოითქვა აზრი მეორე სახელმწიფო კონსერვატორიის გაუქმებაზე იმ მოსაზრებით, რომ ორი კონსერვატორიის შენახვას სახელმწიფო ვერ შესძლებს მატერიალურად, რომ ერთ კონსერვატორიასაც შეუძლია გასწვდეს და დააკმაყოფილოს საქართველოს მუსიკალური მოთხოვნილება და მივიდენ იმ დასკვნამდის, რომ პირველ კონსერვატორიასთან უნდა დაარსებულიყო ქართული მუსიკის კათედრა, რაც სალი სახემწიფოებრივი თვალსაზრისით მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოში ქართული კონსერვატორიის გახსნა და მასთან რუსული კათედრის დაარსება გასაგებია მიზან შეწონილი და სამართლიანი. ხოლო საქართველოში კონსერვატორიასთან ქართული მუსიკის კათედრის დაარსება კი გაუგებრობაა და თანა მედროვე პოლიტიკურ ვითარებაში გაურკვევლობა.

მართლაც. ორი კონსერვატორიის შენახვა ძნელია სახელმწიფოსათვის. რეორგანიზაციის შემდეგ უნდა დარჩეს ერთი სახელმწიფო კონსერვატორია რომელიც უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს ქართულ ხელოვნებას. ამ კონსერვატორიამ უნდა მოამზადოს სახელმწიფო ოპერისათვის ახალგაზდობა. ეს შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონსერვატორია უმთავრესად დაფუძნებული იქნება ქართული მუსიკის თეორიულ და პრაქტიკულ შესწავლაზე. ამ თვალსაზრით აუცილებლად მიმაჩნია სახელმწიფო კონსერვატორიაში ყველა კონსერვატორიის კურს დამთავრებულთათვის სავალდებულო უნდა გახდეს რამდენიმე ოპერის ქართულ ენაზე ცოდნა. უმფროს კლასებში ან სანბლები უნდა მოეწყოს ქართულად.

უნდა ისწავლებოდეს ქართული ხალხური სიმღერები და მასთან ირჩეოდეს მათი თვისება კეთილ ხმოვანება დ რითმიულობა.

ყველა თეორიული საგნები უნდა იკითხებოდეს ქართულად. უნდა იკითხებოდეს ლექციები ქართული მუსიკის ისტორიიდან. რათა მომავალი წლიდან ჩაეყაროს მტკიცე საფუძველი ქართულ კონსერვატორიას, ამისათვის ამთავითვე საჭიროა მზადება.

ქართველმა კომპოზიტორებმა—მუსიკოსებმა მთავრობის დახმარებით უნდა გამოიმუშაონ ვრცელი გეგმა კონსერვატორიების რეორგანიზაციის შესახებ მომავალ წლიდან უნდა ჩაეყაროს საფუძველი უმაღლეს ეროვნულ მუსიკალურ სასწავლებელს და ეს იქნება ისტორიული საქმე, რომლის დაწყების დღე უნდა იდღესასწაულოს ქართველმა ხალხმა, ისე როგორც ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღე საქართველოში.

ლადო გავაშელი.

# პარტიაში

დღეს, ივნისის 20-ს, შუადღის 3 საათზე დანიშნულია უმუშევარ ამხანაგების კრება, დასწრება ყველა უმუშევართა სავალდებულოა. (ლორის-მელიქოვის № 1. პარტიულ ბიუროში).

დღეს, ივნისის 20-ს საღამოს 7 საათზე დანიშნულია მესამე რაიკომის წევრების სხდომა (ავლაბრის რაიონის) რაიკომის ბიუროში კახეთის მოედანი № 2.

რაიკომის მდივანი მ. სეფეროვლაძე.

# ჩვენი სკოლა

**„საბავშო ბაღის“ და მისი კურსების გარშემო.**

(დასასრული)

მესამე საკითხი, რომელსაც ფრიად დიდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბავშო ბაღში, ეს გახლავთ თხრობა ზღაპრებისა და საუბარი საზოგადოთ ბავშვებთან.

როგორც ვთქვი ეს საკითხი ვერ დასრულდა, ვერც განახლდა და მისიგანმარტება და ერთ მთლიან ჯამში მოქცევა კი დიდ საჭიროებას თხოულობს. ეს დარგი მეტად უმწეო მდგომარეობაშია და ამიტომ მისი მასალების გარჩევა საჭიროდ მიმაჩნია.

საქსე ის გახლავთ, რომ საბავშო ლიტერატურა ჩვენში ყოველთვის კრიზისს განიცდიდა და დიდ კრიზისს განიცდის ეხლაც. რასაკვირველია, ამას თავისი ისტორია აქვს და მე მას არ გავყვები მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ჩვენი საბავშო ლიტერატურა ამოიწურება უმეტეს ნაწილად თარგმანებით, ისიც მეტად ულაზათო და სუსტით და თუ ორიგინალური რამე მოთხრობა ან ლექსი მოგვეპოვება ისიც გაფანტული ძველ გამოცემებში და არაფერს თავი ერთად მოყრილი არა აქვს. ასეთი მოვლენა და უსუსურობა ამ 15—10 წლის წინად მოსათმენი იყო როცა ცარიზმმა ქართული ჩაკლა, იყო საჭიროთ არ იყო მიჩნეული და რაც იწერებოდა და იბეჭდებოდა კერძო ოჯახებისათვის

# მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში

**4 კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნული საკითხი**

**პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე იმავე დროს არის სიგნალი ყველა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა. კ. მარქსი 1847 წ.**

(შემდეგი)

ჩვენ ერთობ დაგვავიწყდა ჩვენი ოპონენტი, და გულმავიწყობა რომ არ დაგვწამოს და არ დაგვემდუროს, ამიტომ ამ კითხვის განხილვის დროს განსაკუთრებით მოვიგონებთ მას.

ამხ. ამალლობელს გონია, რომ მარქსი მხოლოდ ტაქტიკურ მოსაზრებით უდგება ირლანდიის საკითხს და თვით ირლანდიის ინტერესები, (ე. ი. ერების ჭინტერესები) მას არ სწამს. ამ საკითხის დამტკიცებას ჩემი ოპონტი მეტად მოხეენილი ხერხით შეუდგა; რაც ჩემი აზრით ყოვლად დაუშვებელია კამათის დროს.

ამხ. ამალლობელი სწერს: „რატომ იცავს მარქსი ირლანდიის ფედერატიულად დაკავშირებას? იმიტომ, რომ **„სანამ ეს ოლიგარხია,** (ლაპარაკია ინგლისის მიწისმფლობელთა ოლიგარხიის შესახებ ხ. ა.) **ინარჩუნებს თავისთვის ძლიერხ პოზიციას ირლანდიაში, შეუძლებელია მისი ხიძლიერის დამხობა თვით ინგლისში“** (ხაზი ჩემი იყო ს. დ.) აი მხოლოდ ეს ციტატა ამოაქვს ჩემს ოპონენს ჩემი წერილიდან. მე ვეკითხები ამხ. ამალლობელს **მხოლოდ ამიტომ,** მხოლოდ რევოლიუციის გასაჩაღებლად? სხვა მომენტი არ აქვს მარქს მიღებული მხედველობაში? ან არ იყო ეს მომენტები აღნიშნული ჩემს წერილში?

აბა გავსინჯოთ ფაქტები. ჩემს წერილში (იხ. № 470) გარკვევითა და ნათლად იყო აღნიშნული 2 მომენტი, რომლითაც დაინტერესებული იყო მარქსი ირლანდიის საკხშითი, ეს იყო 1) **ირლანდიის ეროვნულ ინტერესები** და 2) რევოლიუციის ინტერესები. უკან-სკნელს, დიდი ადგილი უჭირავს მარქსის პოლიტიკაში. პირველი მომენტი ამხ. ამალლობელმა დამალა, რომ ამით **შეემხუბუქებინა,** უკეთ უარეყო მარქსის სიმპატია დაჩაგრულ ერებისადმი. ჩემმა ოპონენტმა **გარკვეული მიზნით** მკითხველს დაუმალა შემდეგი ფაქტები, რომელშიც ნათლად სჩანს მარქსის სიმპატია და თანაგრძნობა ირლანდიის მოთხოვნილებისადმი:

„1867 წ. მარქსი გაეცნო რა დაწვრილებით ირანდიის მდგომარეობას, სწერს ენგელსს... წინად მე შეუძლებლად მიმაჩნდა ირლანდიის გამოყოფა ინგლისისაგან. ეხლა ვთვლი მას (გაყოფას) აუცილებლად **თუ გინდ გამოყოფის შემდეგ ხელ-ახლა წარმოსდგეს ფედერაცია.** ევროპის არც ერთს ქვეყანაში უცხოელთა ბატონობას არ მიუღია ასეთი პირდაპირი ფორმა ადგილობრივ მკვიდრთა ცარცვისა.“

თავის მეორე წერილში იმავე მისამართით (1867 წ.) მარქსი გარკვეულ პროგრამას იძლევა ირლანდიის ერისათვის: „კითხვა იბადება, რა უნდა ვურჩიოთ ჩვენ ინგლისის მუშებს: ჩემის აზრით, მათ უნდა შეიტანონ თავიანთ პროგრამაში მოთხოვნა ინგლისის კავშირის გაწყვეტისა ირლანდიასთან, ეს არის ერთად-ერთი **დევგალური** და ამიტომ **ირლანდიის ემონსიპაციისათვის ერთად-ერთი შესაძლებელი ფორმა,** რომელიც შესაძლებელია შეტანილ იქმნეს ინგლისის პარტიის პროგრამაში. გამოცდილებამ უნდა გვიჩვენოს შემდეგ, შესაძლებელია თუ არა გაგრძელდეს **პირადი უნია** ამ ორ ქვეყნის შორის. მე ნახევრად მრწამს ეს, თუ თავის დროზე მოხდება.

რა უნდა ირლანდიას, აი რა: 1 თვითმართველობა და დამოუკიდებლობა ინგლისისაგან. 2 აგრარული რევოლიუცია 3. მფარველობითი გადასახადები ინგლისის წინაამდეგ. უკანასკნელის შესახებ მარქსი აღნიშნავს, რომ ინგლისმა გაანადგურა ირლანდიის სამრეწველო ცხოვრება თავისი პოლიტიკის წყალობით. ამიტომ „როგორც კი ირლანდიელები მოიპოვებენ დამოუკიდებლობას. უნდა ვაიძულოთ ისინი გადაიქცენ პროტექციონისტებად კანადას, ავსტრალიისა და სხვათა მსგავსად“.

1869 წ. 29 ნოემბერს მარქსი სწერს ენგელს: „ჩემი გამოსვლა ირლანდიის საკითხში ამნისტიის შესახებ, აგრეთვე ჩემივე წინადადება გენერალურ საბჭოში (ინტერნაციონალი) იმის შესახებ, რომ განხილული ყოფილიყო ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობა ირლანდიაში და გამოგვეტანა ამის შესახებ ცნობილი გადაწყვეტილება, **ყველა ამას,** რასაკვირველია, ჰქონდა კიდევ სხვა მიზნები, გარდა იმისა, რომ ხმამაღლა და გადაჭრით გამოგვეთქვა დამონებულ ირლანდიის სასარგებლოდ და მისი დამმონებელთა წინაამდეგ“. ყველა ეს ცნობები მცირედის გამოკლებით მოყვანილი იყო ჩემს შენიშვნებში (იხ. „ტრიბუნა“ № 470). ამ ცნობებიდან ნათლად და გარკვევით მტკიცდება, რომ მარქს ირლანდიის ერის ინტერესებიც ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ითხოვდა ირლანდიის განთავისუფლებას და მისი ეროვნული აღორძინებისათვის გარკვეულ პოლიტიკურსა და ეკონომიურს პროგრამას იძლეოდა. ამხ. ამალლობელმა ყოველივე ეს დაუმალა მკითხველს.

მე მოვიყვან კიდევ 1 წერილს, რომლის შინაარსი მოყვანილი იყო ჩემს შენიშვნაში და რომელსაც დიდი ფასი აქვს, როგორც ინტერნაციონალის რეზოლიუციას. 1869 წელს ნოემბერში ინტერნაციონალში განხილულ იქმნა ირლანდიის საკითხი, ამის შესახებ მარქსი სწერს ენგელს: „უკანასკნელ სამშაბათს გაიხსნა დისკუსია № 1 პუნქტის შესახებ, ბრიტანეთის მთავრობის დამოკიდებულება ირლანდიელების ამნისტიის საკითხთან. მე ვილაპარაკე დაახლოებით 1 და მეოთხედი საათი მრავალგვარ მოწონებებით (დამსწრეთაგან) და შემდეგ წარვადგინე პირველი პუნქტისათვის შემდეგი რეზოლიუცია:

„დადგენილია, რომ თავის პასუხში ირლანდიელების თხოვნას შესახებ ციხეში დაპატიმრებულთა ირლანდიის პატრიოტების განთავისუფლებაზე, პასუხში, რომელიც შეიცავდა ბ-ნ გლადსტონის წერილში ბ-ნ ოშის და სხვათა მიმართ,—პირველმა განზრახული მიზნით შეურაცხყო ირლანდიის ნაცია; რომ ის, უკავშირებს პოლიტიკურ ამნისტიას იმ პირობებს, რომელიც ერთნაირად შეურაცხმყოფელია, როგორც არა წესიერი მართველობისაგან დაზარალებულთათვის, ისე იმ ხალხისათვის, რომელსაც ისინი ეკუთვნიან.

რომ მან, რომელმაც გამოთქვა საჯაროდ, მიუხედავად თავისი საპასუხისმგებლო თანამდებობისა, თავისი აღფრთოვანებით მოწონება ამერიკის მონათ მფლობელთა აჯანყების გამო, ახლა უქადაგებს ირლანდიის ხალხს პასიური მორჩილების დოქტორთანას.

რომ მთელი მისი ყოფაქცევა ირლანდიის ამნისტიის მიმართ წარმოადგენს ნამდვილ ნაყოფს იმ **„დაპყრობითი პოლიტიკის“,** რომელსაც თავის დროზე ბ-ნი გლადსტონი ასე მხურვალედ გმობდა, რომლის წყალობითაც მან გამოდევნა მთავრობიდან თავისი მოქიშპე კონსერვატორები.

რომ საერთაშორისო მუშათა საზოგადოების გენერალური საბჭო გამოსთქვამს თავის აღტაცებას იმ ვაჟკაცობისა, სიმტკიცისა და დიდსულოვნობისათვის, რომლითაც ირლანდიის ხალხი ატარებს თავის მოძრაობას ამნისტიის სასარგებლოდ.

რომ ეს რეზოლიუციები უნდა ეუწყოს საერ. მუშ. საზ. ყველა სექციებსა და მათთან დამოკიდებულებაში მყოფ მუშათა ორგანიზაციებს ევროპასა და ამერიკაში“ („Письма“ გვ. 174—5).

1869 წ. მარქსი იმავე ენგელს ვრცელ წერილს სწერდა ირლანდიის საკითხის შესახებ, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნავდა, რომ მიწადმფლობელთა არისტოკრატიის მოსპობა შეუდარებლივ ადვილად მოხდება ირლანდიაში, ვინემ ინგლისში, რადგან „ირლანდიისათვის ეს არის არა მარტო ეკონომიური საკითხი, არამედ იმავ დროს ნაციონალურიც, რადგან ლენდ ლორდები ირლანდიაში არ წარმოადგენენ, როგორც ინგლისში, ტრადიციულ თანამდებობის პირებს და ქვეყნის წარმომადგენლებს, არამედ ეროვნების დაუზოგავად დამჩაგვრელებს“ (იქ. გვ. 177).

1869 10 დეკემბერს წერილში მარქსი სწერს ენგელს თავის მოხსენების შესახებ ინტერნაციონალის საბჭოში ირლანდიის საკითხსე: „უახლოეს სამშაბათს, ყოველგვარ „ინტერნაციონალურ“ და „ჰუმანიურ“ ფრაზების გარეშე „ირლანდიისადმი სამართლიანობის“ შესახებ,—**რადგან ესენი ინტერნაციონალის საბჭოში თავისთავად იგულისხმება,** —მე შევეცდები დავამტკიცო“ და სხვა. (იქ. გვ. 178).

მარქსი პრაქტიკული პოლიტიკოსია, რევოლიუციონური ბრძოლისათვის ნიადაგის მშინჯველი სტრატეგი; მისთვის პრინციპიალური სამართლიანობა ირლანდიის ნაციონალურ მოთხოვნილებისა თავისთავად უკვე გადაწყვეტილი და მიღებულია, როგორც კომუნისტისათვის,—საკითხის სიმძიმე მხოლოდ განხორციელებაში, პრაქტიკულ პოლიტიკაში მარხია, და მარქსი ეძებს გარკვეულ კონკრეტიულ პირობებში იმ ძალებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ამ „სამართლიანი“ მოთხოვნის რეალურად განაღდებას. მის გეგმაში სავსებით შეწონილია ეროვნული და კლასიური მომენტები ამ მხრივ.

ვინც ამის შემდეგ გაბედავს და იტყვის, რომ მარქს არ აინტერესებდა ირლანდიის ეროვნული მისწრაფეებანი და ამისათვის არ აყენებდა შესაფერისს პროგრამას, რომელიც სავსებით მისაღებია და მოსაწონი ვინც კი დაჩაგრულ ერებს უთანაუგრძნობს, ის **განზრახ ამახინჯებს** ისტორიულ ფაქტებს. ასეთ „მოხელეს“ ისტორია სასტიკად გაუმასპინძლდება.

მარქსმა შეადუღა, შეაუღლა ერთიმეორეს ორი მომენტი (რევოლიუციონური და ეროვნული) ირლანდიის მაგალითზე, იმით კონკრეტიულ ისტორიულ პირობებში შესანიშნავი ნიმუშები მოგვცა იმისა, თუ საზოგადოთ როგორ უნდა სვამდეს ყოველი რევოლიუციონერი ეროვნულ საკითხს. აქ, ამ ისტორიულ კონკრეტიულ მაგალითში სავსებით დაცული არის ყოველის მხრით კლასთა ბრძოლის მეთოდიც და ერთა განთავისუფლების პრინციპიც.

ასევე უმართებლოდ მოეპყრა ჩემი ოპონენტი ენგელსაც. ამხ. ამალლობელი სწერს: „რას გვეუბნება ენგელსი პოლონეთის საკითხის შესახებ კონკრეტიულად? ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტის“ პო- **ლონურ გამოცემის (წინა)** სიტყვაობაში აღნიშნავს ერთა დამოუკიდებელ მოპოების საჭიროებას, როგორც **პროლეტარიატის გაერთიანების პირობას“** (კურსივი ამალლობელისაა ს. დ)

ახლა ენახავ რას ამბობს ენგელსი კონკრე**ტიულად** პოლონეთის შესახებ· იმ წყაროში, რომელიც ამხ. ამალლობელი ასახელებს და რომელიც მე მქონდა მოყვანილი ჩემს „შენიშვნებში“ სიტყვა სიტყვით შემდეგი სწერია: **„პოლონეთის მრეწვე- ლობის სწრაფი განვითარება,** ისეთი განვითარება, რომ იგი მთელი თვით რუსეთის მრეწველობაზე მაღლა დგება, თავის მხრით არის საწინდარი პოლონურ ხალხის ამოუწურავ სასიცოცხლო ენერგიისა, მისი მომავალი ეროვნული აღორძინების ახალ გარანტიაა. დამოუკიდებელ, ძლიერ პოლონეთის აღორძინება კი არის საქმე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პოლონელების, არამედ ყველა ჩვენთვისაც. ევროპის ხალხთა საერთაშორისო მჭიდრო თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველი ამ ერთაგანი თავის სახლის სრული ბატონ-პატრონი იქნეს.

შლიახტამ ვერ შესძლო დამოუკიდებლობის ვერც შენარჩუნება, ვერც მისი მოპოება. იგი (დამოუკიდებლობა) ბურჟუაზიის თვალში დღითი დღე ჰკარგავს ინტერესს. **მას მოიპოვებს მხოლოდ პო- ლონეთისეახალგაზრდა პროლეტარიატი.** მის ხელში კი იგი (დამოუკიდებლობა) საიმედო იქნება. ამიტომ **დასავლეთ ევროპის მუშა დაინტერესებულ პოლონეთის განთავისუფლებით არა ნაკლებ პო- ლონელ მუშისა“** (იხ. „კომუნისტური მანიფესტ[illegible] გვ. 65). ვეკითხები ამხ. ამალლობელს არის თუ ა[illegible] აქ მიღებული მხედველობაში პოლონეთის ეროვნ[illegible] ლი ინტერესებიც, არის თუ არა პოლონეთის „**მო- მავალი ეროვნულ აღორძინების ახალი გარანტი- ბისათვის“** ზრუნვა? ან სად არის აქ მხოლოდ **პრო- ლეტარიატის გაერთიანების** პირობაზე ლაპარაკ[illegible] როდესაც ენგელსი სწერს „ევროპის ხალხთა მჭიდ[illegible] რო **თანამშრომლობის** შესაძლებლობაზე“? გ[illegible] შეიძლება ასე „თვალსა და ხელშუა“, ყველასათვ[illegible] დასანახ და მისაწდომ ადგილს ციტატები თქვე[illegible] ნებაზე ატრიალოთ?

ჩვენ აქ გვინდა კიდევ შევეხოთ ამხ. ამალლო- ბელის ერთ დებულებას, რომლიდანაც წარმოსდ[illegible] მთელი მისი გაუგებრობა და საკითხის არევ-დარ[illegible] ვა. ჩემი ოპონენტი მეკითხება და „პირდაპირ [illegible] სვამს საკითხს“. „მისთვის ნაციონალური საკით[illegible] პრინციპის **საკითხია,** თუ ტაქტიკის? მისაღებია მი[illegible] თვის (სან-ლონისათვის) ამხ. **ლენინის ინტერპრეტა- ცია მარქსისა,** რომლის აზრით ირლანდიის ფედ[illegible] რატიული დაკავშირება ინგლისთან იყო **ერთად- ერთი გზა** სრული ცენტრალიზმისაკენ? თუ ეს [illegible] სალებია არის, თუ არა მისაღები, „სალი და სწ[illegible] რი“ სრული ცენტრალიზმი? არის თუ არა მისთ[illegible] (სან,-ლონისათვის) მისაღები დამოუკიდებლობა, რო- გორც **ხაზგასმით** გაერთიანებისა, როგორც ეს [illegible]

თითქოს საკმარისი იყო. ეხლა კი ილოთ წასვლა ყოვლად შეუძლებელია. ზლაპრების და მოთხრობების მოთხოვნილება მეტად დიდია არა მარტო ქართულ ოჯახებში არამედ სკოლებში და ბაღებში, რომელრიცხვიც წინანდელ დროსთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა და დღეს ჩვენ კი არაფერი მოგვეძებნება. და თუ გვაქვს რამე, მე მგონია, თავისი შინაარსით და კონსტრუქციით მეტად უვარგისია.

ამ შემთხვევაში მეტი არ იქნება თვალი გადაავლოთ საბავშო ლიტერატურის გამომცემლობას, რომელიც ამოიწურება ორ თვეში ერთხელ „ჯეჯილ-ნაკადულის" გამოცემით და ორი წიგნის „შემოდგომა" და „ზამთრის" დაბეჭდით.

ჟურნალის მასალებს რომ არ გავეცნოთ და მარტო ეს ორი გამოცემა გადავათვალიეროთ, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩვენს სკოლებს და ამ შემთხვევაში კი კერძოთ საბავშო ბაღებს, დამეთანხმება, რომ ეს მასალა ყოვლად შეუფერებელი და უვარგისია. აქ არ არის არც ერთი მოთხრობა ისეთი რომელზედაც თვალი შეასვენოს ადამიანმა და იგი გამოიყენოს, როგორც მოსათხრობი მასალა სკოლებში ბავშებთან. არც ერთს მათგანს არა აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობა და არც თუ სილამაზით არის სავსე.

შეიძლება ამ შემთხვევაში იქ მიწყვდეულ მწერალ-პოეტებს მეტიც ვერ მოვთხოვოთ და ვერც დაემდურებიან იმიტომ, რომ ის პოეტია აღმაფრენი, მწერალია თავისუფალი და მას ვერც შეუკვეთავთ როგორც ჩვენს ბაღებს ესაჭიროება ისე სწეროს.

ეს რომ ასე მოხდეს, მაშინ მწერალ-პოეტი უნდა გაეცნოს ჯერ ამ სისტემას, საქმეს და შემდეგ განსჭვრეტით ისე უყო მობილიზაცია მთელს კალმის უნარიანობას.

ის ჩვენ გვაძლევს მასალას და როგორ გამოიყენებს ამას მასწავლებელი, აი ეს არის საქმე.

ვინ უნდა გადააშენოს, ვინ უნდა ჩაუდგას ბალისათვის სული ამ მოთხრობებს.

რასაკვირველია მასწავლებელმა!

მაგრამ ამ შემთხვევაში, სამწუხაროთ, უვიცია თუმცა ეს ისე არ ახასიათებს მას როგორც მისი შინაგანი მოდუნება, მისი სულის სილაღიბე და სიზარმაცე.

მასალების გადამუშავებას, დალაგებას უნდა ერთგვარი მწერლობის ნიჭიც, რასაც ალბად თვითეულ მასწავლებელს ვერ მოვთხოვთ. საქმეს ვერც თვითეული მასწავლებელი შესძლებს, რადგანაც მასალები ყოველ დღე ესაჭიროება და ყოველ დღე ჩვენი მასწავლებელი არ ჩაუჯდება მოთხრობის გადასინჯვას. ამისათვის საჭიროა ერთგვარი ჯგუფის დაარსება გამოცდილ მასწავლებელთა, მათ დაეხმარება ახალგაზრდა მასწავლებელნიც და ეს ჯგუფი გადასინჯავს მთელს საბავშო ლიტერატურას და დაამუშავებს. ასეთი ცდა იყო კიდევაც. განათ. მუშაკთა სახლთან დაარსდა სამი ჯგუფი: ქართული, რუსული და სომხური. ყველას თავის ენაზე უნდა წარედგინა ეს მასალები და თუ არ ვცდები გამოცემაც კი უნდოდათ. როგორც წყაროებიდან ვიცი, უკანასკნელმა ორმა ჯგუფმა უკვე შეასრულა ეს მოვალეობა შეძლებისადაგვარად შეიძლება სუსტად, ცოტაც, მაგრამ ფაქტია, რომ იმუშავა. რაც შეეხება ქართულ ჯგუფს ჯერ მას ერთი წიგნი არც გადაუშლია და არც დაუმუშავებია რამე. უფრო შორს მიდის მათი „მოღვაწეობა" საბავშო ბაღების თერმინებიც კი ვერ გამოუმუშავებიათ და ქართველ ბავშს უწინდებურად რუსულ სიტყვებით ასწავლიან დიდაქტიურ მასალის ამა თუ იმ სახელს.

ასეთი მოქცევა ქართველ შეგნებულ მასწავლებელს არ ეპატიება და მომავალ თაობისაგან დიდ საყვედურსაც დაიმსახურებს.

ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგოს და შეიგნოს ჩვენმა ახალმა და ძველმა მასწავლებლობამ, რომ მათზეა დამოკიდებული სკოლის ავ-კარგიანობა, მოწაფის ღირსება-განვითარება. და თუ მასწავლებელი მოდუნებულია, უვიცი უხალისო ის მოწაფეებს სწორედ ამავე თვისებას შეასწავლის.

პირდაპირი მოვალეობაა ქართველი მასწავლებლისა გამოიჩინოს მეტი ფხა, უნარი, ცოდნა საქმიანობა..

კმარა ბ—ბო, სხვაგან ყურება და მზა-მზარეულად გადმოტანა ყველაფერი უცხოურისა ამ დარგში. შევქმენით ჩვენი საკუთარი ქართულ ცხოვრებიდან ამოტივტივებული. სხვები ჩვენ მასალებით სარგებლობენ და ნუ თუ ჩვენ არ უნდა შეგვეძლოს მათი გამოყენება და თუ მიმბაძველობაა და გადმოტანა, რატომ არ ვბაძავთ მუშაობაში და მათ დაუღალავ სწრაფვაში?

აი, ამიტომაც, მე მათ მოვალეობათ მიმაჩნია შეუდგნენ ამ საქმეს სასწრაფოდ და და გამოსწორებულ უნდა იქმნას მათი ეს დიდი დანაშაული. დამზადდეს მასალები ერთი წლისა და გამოიცეს.

აი უმთავრესი დიდი მუშაობა იმ მასწავლებლებისა, რომელთაც სწავლა-აღზრდის სადავე ხელში უჭირავთ.

რა ნაირი მასალაა საჭირო და როგორ უნდა დამუშავდეს ესეც მეტად საგრძნობია. და ჩემის აზრით შემდეგის გზით უნდა ვიაროთ: უმთავრესი მასალა არის ოთხი დროს გაცნობა. და ეს უნდა მოხდეს მხატვრულათ და მათთვის დასაძლევ მასალით, მხოლოდ ისე, რომ სრული სინამდვილე და სიმართლე უნდა იყოს დაცული. ამ მხრივ მეტად საინტერესო და ძნელია თავის მრავალ მხრიობით შემოდგომა და გაზაფხული. გაზაფხულით ბავშვი ზედმეტი ცნობის მოყვარე ხდება რადგანაც ბევრს გამოცოცხლებულ სულდგმულებს ხედავს: მწერს, ჭიანჭველას, ცხოველს, ბალახს, ყვავილებს და სხვა. თუ მასწავლებელი ყველა ამის გაცნობას ერთ საუბარში მოაქცევს ბავშის ტვინს მეტად მოაჭანცავს და ვერც შეითვისებს. ამიტომ საჭიროა თვითეულ მათზე ცალკე ამბათ იყოს მოთხრობილი: მათი პირველი გამომზეურება, მათი ცხოვრება და მათი მოქმედება; მხოლოდ ისე, რომ სინამდვილეს შეადგენდეს: მაგ., თქვენ გინდათ ბავშს გააცნოთ ჭიანჭველის ცხოვრება, მისი ახლად გამოსვლა გაზაფხულზე.

როგორ უნდა მოხდეს?

ხომ არ შეიძლება ბავშს აუხსნათ: როცა მზე გაათბობს მიწას, დათბება და ჭიანჭველა მიწაში იგრძნობს მაშინ ამოცოცდება და სხვა; არამედ ეს მასალა მხატვრულად უნდა მივაწოდოთ და აუცილებლივ ამ სურათში, ამ ჭიანჭველის გაზაფხულზე გამოფენის ამბავში ბავშებიც უნდა იყვნენ ჩართული და საზოგადოთ ყველგან ერთი დასკვნა უნდა იყოს გამოყვანილი: რომ მწერი თუ ჭიანჭველა და ბავშები ერთად თამაშობდნენ და ეს უკანასკნელნი ყოველთვის ცდილობდნენ მათ მოფერებას, მოვლას, გაბრთხილებას, როგორც პატარეების და სხვა. ამით ბავშებში აღმოიფხვრება მწერების, მცენარეების, ფრინველ-ცხოველების წვალება და მათი შეწუხება. თუ ამ ბოროტების განდევნა დარიგებით მოვივლომეთ (რაც ხშირი მოვლენაა) ეს სრული უშედეგო რჩება, პირიქით ბავში თავის შინაგან მოთხოვნილებას უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს და მის სისრულეში მოყვანასაც შეეცდება. მაშინ კი, როცა ამბავში [illegible] ბავშებს [illegible] ურთავთ და მეტადრე ზოგიერთ ბავშის სახელსაც დაასახელებთ, ამ სახელის მატარებელი სწორედ ისეთ მოქცევას შეეცდება როგორადაც ამბის გმირი იქცევა და სხვასაცკი დაუშლის მწერების წვალებას. ამიტომ ეს ბავშების და ფრინველების, ან მწერთა და ბავშთა საუბარი მოთხრობაში აუცილებლივ უნდა იყოს, რადგანაც სადაც მოქმედობენ ბავშები ეს მსმენელ ბავშებს ძალიან უყვართ. ამის დამამტკიცებელია იმ ზლაპრების სიყვარული, რომლის მოთხრობასაც ყოველთვის სთხოვენ მასწავლებელს, მაგ., „წითელ ქუდა ბავშვი და მერცხალი" და სხვა ბევრი ამისთანა.

ყველა ეს ცალკე გამოყოფილი გაცნობ სხვადასხვა მწერ-ფრინველთა დამუშავებული უნდა იყოს პოეტურ ფერადებით სახეობით და მორალით.

ამ შემთხვევაში შეიძლება უცხო ლიტერატურით სარგებლობა, ოღონდაც ერთი მთავარი პირობით: უნდა უცხო ლიტერატურა გამოვიყენოთ, როგორც თემა და შინაარსი ონდა აშენდეს სწორედ იმ გემოვნებაზე და იმ სიყვარულზე, რაც ჩვენს ბავშებს აქვს, რადგანაც ყველა ეროვნების ბავშები თავიანთ აგებულებით, მოთხოვნილებით, სულით, გემოვნებით და ბავშურ მსოფლმხედველობათ ერთნაირი არ არის.

თუ სიტყვითი-სიტყვით გადმოითარგმნა და არ ჩავბერეთ ჩვენი ბავშის სული ასეთი მასალა არც მნიშვნელოვანია და არც სასარგებლო: ყველაფერი ადვილად ითვისება ისე რაც უფრო ახლოს სდგას ქართველ ბავშის ფსიქოლოგიასთან, მის გონებასთან. და თუ არ არის ბავშის სული და გული ამბავში, სრულიად ზედმეტია ბუმბერაზული და ფანტასიური ზლაპრების თხრობა. ეს ბავშს სრულებით არ აძლევს აღმზრდელობას, პირიქით ამისთანა ამბები ბავშში იწვევს ერთგვარ იჭვს, უნდობლობას და სწორეთ ამითია გამოწვეული კითხვები: „ეს მართალი კაცი იყო?" და სხვა.

აი, ეს კითხვა მეტად მრავალმნიშვნელოვანია და გვიჩვენებს რომ ბავშს შეიძლება მოეწონა, მაგრამ ამავე დროს მისი სურვილია გაიგოს სინამდვილეა, თუ მოგონილი.

ეს არის საუკეთესო სტირელი, რომელმაც სწორედ ამ სინამდვილის გზით უნდა აამოძრაოს ჩვენი მასწავლებლობა და ბუნების, თუ სხვა ადა-

---

მის ენგელს"? (იხ. „ტრიბუნა" № 476 კურსივი ჩემია ს-დ).

ამ ოთხ სართულიან შეკითხვას სადაც ისტორიული ფაქტები და სხვა და სხვა დებულებები ერთმანეთში ღომხალივით არეულია, დიდი გაცხრილვა ესაჭიროება. მე მუხლობრივ განვიხილავ ამ კითხვებს.

1) არის თუ არა ჩემთვის მისაღები დამოკიდებულობა, როგორც საშუალება გაერთიანებისა. აუცილებლად არის. ჩვენ და მთელი ჩვენი პარტია პოლიტიკური პროფანები ვიქნებოდით, რომ ერების დამოუკიდებლობა და მათი მოწესრიგება ნაციონალურად, არ მიგვაჩნდეს, როგორც საშუალება საერთაშორისო გაერთიანებისა სხვა ერებთან. დამოუკიდებლობა, როგორც საშუალება არა პარტიკულიარიზმისა და კარჩაკეტილობისათვის, არამედ მთელს მსოფლიოსთან თანამშრომლობისა და გაერთიანებისათვის,—აი ჩემის გაგებით ალფა და ამავე ჩვენი პოლიტიკის პრინციპისა ეროვნულ საკითხში. არ. ჯორჯაძე 1904 წ. ჟენევის კონფერენციაზე ამბობდა: „ხალხის კულტურულ განვითარების ...ევოლიუციას რომ დაუკვირდეთ, დავინახავთ, რომ ერები სოლიდარობისაკენ, თავისუფალ გაერთიანებისაკენ მიისწრაფიან და არა განკერძოვებისაკენ". ჯორჯაძეს **„კაცობრიობის ევოლიუციის, გაერთიანებისაკენ მიმართულ ევოლიუციის"** პრაქტიკულ გამოხატულებად მიაჩნდა ფედერაცია და ავტონომია. მე ვფიქრობ, ჩვენ დღეს ამ პოლიტიკურ ზომებს ველარ წამოვაყენებთ, და ჩვენთვის ხდება დამოუკიდებლობა **როგორც მთავარი საფუძველი და საშუალება" ერების თანამშრომლობისა და გაერთიანებისათვის!**

2) მაგრამ გაერთიანება—**როგორ ფორმებში?** აი მთავარი საკითხი აქ არის ჩამარხული. **როგორ ფორმებში მიაჩნია ენგელს გართიანება?** ამაზე ამხ. ამაღლობელი არაფერს გვეუბნება. ვფიქრობ, რომ ის იმ აზრისა, რომ ენგელსი აყენებს დამოუკიდებლობას როგორც გარდამავალს ფორმას გაერთიანებისაკენ. ასეთი დასკვნა არ შეიძლება ენგელსის ზემოდ დასახელებულ პოლონურ წინასიტყვაობიდან გამოტანილი იქნეს. როგორც აღვნიშნეთ ენგელსი იქ სწერს: „ევროპის ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც **ყოველი ამ ერთაგანი თავის სახლის სრული ბატონ-პატრონი იქნება**". აქ დამოუკიდებლობის მოპოვებაზე კი არ არის ლაპარაკი და ამ გზით გაერთიანებაზე, არამედ მჭიდრო თანამშრომლობაზე ყოველი ერის „თავისი სახლის სრული ბატონ-პატრონობის" დანარჩუნებით. აქ დამოკიდებულება და „თავის სახლის სრული ბატონ-პატრონობა". წამოყენებულია როგორც საფუძველი ევროპის ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობისა და გაერთიანებისათვის. ასეთი მეთოდით გაერთიანების მომხრე აუცილებლად მეცა ვარ.

შეიძლება ამხ. ამაღლობელს მხედველობაში აქვს იტალიური გამოცემის წინა-სიტყვაობა ენგელსისა? გავსინჯოთ ესეც. ამ წინასიტყვაობაში ჩვენ ვკითხულობთ: „თუ არ გაერთიანდა ყოველი ერი ცალ-ცალკე და არ მოიპოვა დამოუკიდებლობა, შეუძლებელია პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანება. შეუძლებელია ამ ერების საერთო მიზნებისათვის დამშვიდებული და შეგნებული თანამშრომლობა. წარმოიდგინეთ, თუ კი ამას თქვენ შესძლებთ შეერთებული საერთაშორისო მოქმედება იტალიელ, უნგრელ, გერმანელ, პოლონელ, რუსის მუშებისა იმ პოლიტიკურ პირობებში, 1848 წლამდე რომ არსებობდა!" (კომ. მანიფესტი." გვ. 66. კურსივი ჩემია ს. დ.).

აქაც იგივე აზრია გამოთქმული, რაც პოლონურ გამოცემის წინასიტყვაობაში: **„გაერთიანება ყოველი ერისა ცალ-ცალკე"***) და მათთვის დამოუკიდებლობის მოპოვება წამოყენებულია, **როგორც საფუძველი** პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებისა და ერების საერთო მიზნებისათვის დამშვიდებული და შეგნებული თანამშრომლობისათვის.

მაგრამ ენგელსი ჩვენ არ გვაწვდის ამ თავის წერილებში, თუ როგორი ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს ურთიერთობა დამოუკიდებელ ერთეულთა შორის ამ კითხვას მე დაუბრუნდები შემდეგ (5) თავში.

3) მისაღებია თუ არა ჩემთვის აზრი ლენინის **ინტერპრეტაცია** მარქსისა, რომლის აზრით ირლანდიის ფედერატიული დაკავშირება ინგლისთან იყო ერთად ერთი გზა სრული ცენტრალიზმისაკენ. აქაც ამხ. ამაღლობელო, კითხვები არეული გაქვთ და მე იძულებული ვხდები უფრო ვრცლად გაგიმარტოთ საქმის ვითარება. პირველად ვიკითხოთ **რას იცავს მარქსი, იგი პირველ აუცილებელ პირობად აყენებს ირლანდიის დამოუკიდებლობას.** ამის შემდეგ შესაძლებელია; 1) თუ გინდ ჩამოშორების შემდეგ საქმე ფედერაციამდე მივიდეს" (1867 წ. 2/XI წერილი) 2) ან გაგრძელდეს **პირადი უნია.** (მე ნახევრად ეს მწამს, თუ კი თავის დონეზე მოხდება—სწერს მარქსი 1867 30/XI); 3) მოითხოვონ ინგლისის მუშებმა 1801 წ. კავშირის გაუქმება და შეცვლა თავისუფალი კავშირით ფედერატიულ საფუძვლებზე" (1869 წ. 29/XII). როგორც ვხედავთ ინგლისსა და ირლანდიის შორის ურთიერთობის ფორმის საკითხს გადაჭრით არ აყენებს. იგი გადაჭრით მოითხოვს მხოლოდ ერთს—ირლანდიის დამოუკიდებლობას. (იხ მეიერისადმი მიწერილ წერილი ზემოდ).

ამის შემდეგ დამოუკიდებელ ირლანდიას შეუძლია გამონახოს თავისი ნებით ის ფორმა ურთიერთობისა, რომელიც მისაღები იქნება მისთვის, ან შეუძლია დარჩეს დამოუკიდებელი. ეს არის რეალური გამოხატვა დიდი ინტერნაციონალური პრინციპის: ერთა თვითგამორკვევის უფლებისა, რომელიც **აუცილებლად გულისხმობს** ლენინის განმარტებით ერის პოლიტიკურ ჩამოშორებას და დამოუკიდებლობას. ირლანდიამ სავსებით მიიღო ეს უფლება მარქსის პროგრამით. მაშ **საიდან წარმოსდგა** ლენინის **ასეთი განმარტება? ჯერ ფაქტები** ინტერპრეტაციის შესახებ. იმავე წერილში, ამხ. ამაღლობელო, თქვენ რომ ციტატას იღებთ, ორიოდე ფურცლის ქვევით ამხ. ლენინი სწერს:

„წინააღმდეგ პრუდონისტებისა, რომელნიც „უარყოფდნენ" ნაციონალურ საკითხს „სოციალურ რევოლიუციის სახელით", მარქსი, იღებდა რა მხედველობაში უმთავრესათ პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლის ინტერესებს მოწინავე ქვეყნებში, აყენებდა პირველ რიგში ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის ძირითად პრინციპს: **შეუძლებელია თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც ჩაგრავს სხვა ხალხს**. ამიტომაც გერმანელ მუშების რევოლიუციონურ მოძრაობის ინტერესების მიხედვით მარქსი 1848 წ. მოითხოვდა, რომ გერმანიის გამარჯვებულ დემოკრატიას ეღიარებინა და გაეხორციელებია გერმანელების მიერ დაჩაგრულ ხალხთა თავისუფლება: **სწორეთ ინგლისელ მუშათა რევოლიუციონურ ბრძოლის ინტერესით 1869 წელს მარქსი მოითხოვდა ირლანდიის ჩამოცილებას ინგლისისაგან, და ამასთანავე ის ურთავდა: „თუ გინდ ჩამოშორების შემდეგ საქმე ფედერაციამდი მივიდესო"**. მხოლოდ ასეთი საკითხების წამოყენებით მარქსი ჭეშმარიტათ უნერგავდა ინგლისელ მუშებს ინტერნაციონალურ სულს. მხოლოდ ამ გზით შეეძლო მას დაეპირისპირებია ოპორტიუნისტებისა და ბურჟუაზიულ რეფორმიზმის წინააღმდეგ, რომელმაც დღემდისაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ვერ განახორციელა ირლანდიის „რეფორმა",—ამ ისტორიულ ამოცანის რევოლიუციონური გადაწყვეტა. მხოლოდ ასე შეეძლო მარქსს, წინააღმდეგ კაპიტალის აპოლოგეტებისა, რომელნიც მცირე ერების გამოყოფას უტოპიათ თვლიან და მის განუხორციელებლობაზე გაჰყვირიან, და პროგრესიულათ თვლიან არა მარტო ეკონომიურს, რამედ პოლიტიკურ კონცენტრაციასაც, მხოლოდ **მარქსს შეეძლო დაეცვა ამ კონცენტრაციის პროგრესივობა არა იმპერიალისტურათ, დაეცვა ერთა დაახლოვება არა ძალადობის ნიადაგზე, არამედ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის თავისუფალი კავშირის წამოყენებით.** წინააღმდეგ სიტყვიერისა და ხშირათ გაიძვერული აღიარებისა ერის თვითგამორკვევის და თანასწორობის შესახებ, მხოლოდ **მარქსს შეეძლო დაეპირისპირებია ეროვნულ საკითხის გადაჭრაში მასის რევოლიუციონური მოქმედება"**. (იხ. ლენინის მე-XIX-ე წიგნი. გვ. 174 კურსივი ჩემია ს. დ.)

მაშ საიდან გამოყავს ამხ. ლენინს თქვენ მიერ მოყვანილი ინტერპრეტაცია? ლენინი უკიდურესი ცენტრალისტია, იგი ყველა ერების „გაერთიანებას" მთელის სოციალისტურ წყობილებაში, ეკონომიურ პირობების გამო. ეს თავისი „მსოფლიო ცენტრალიზმი" ლენინს გამოყავს მარქსის **მთელ მსოფლმხედველობიდან**, იგი ფიქრობს: **ეკონომიურ ცხოვრების განვითარებას თავის თავად მივყევართ სრულს გაერთიანებამდე, ცენტრალიზმამდე მსოფლიო მაშტაბში.** უკეთეს რა ასეთს დასკვნებს ცხოვრების ევოლიუციის შესახებ, ლენინი სწერს: „რამდენადაც სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილება უახლოვდება გამოყოფის სრულს თავისუფლებას, იმდენად იშვიათად და სუსტად გამოიხატება პრაქტიკაზე მისწრაფება ჩამოშორებისადმი, რადგან დიდ სახელმწიფოთა სარგებლიანობა, როგორც ეკონომიური პროგრესის მხრით, აგრეთვე მასის ინტერესების მხრივადაც ცხადზე უცხადესია ამასთანავე კაპიტალიზმის ზრდასთან ესენიც იზრდებიან", (იქვე გვ. 171). **ამ მიდგომით აფასებს ლენინი მარქსის პოლიტიკას ირლანდიის საკითხში.** ფაქტიურად **მარქსს არსად არ გამოუთქვამს რომ ირლანდიის დამოუკიდებლობა არის ერთად ერთი გზა „სრულს დემოკრატიულ ცენტრალიზმისაკენ" და არც „მსოფლიოს ცენტრალიზმის" პროექტები მოუცია.** ეს არის ამხ. ლენინის **საკუთარი დასკვნები**, ამ მხრივ მისი ინტერპრეტაცია არ არის სწორი და ჩემთვის, როგორც იცით, მიუღებელი არის ამხ. ლენინის **სრული გაერთიანება, ცენტრალიზმი...** ჩვენის გაგებით ისტორიული ცხოვრების განვითარებას **ასეთი გეზით არ მივყავართ.** მაგრამ, თუ ცხოვრების კანონები, ეკონომიური საჭიროებანი მართლა ძალდაუტანებლივ, თავისთავად ამ მიმართულებით წაგვიყვანს, ამას ვერ შეაჩერებს ვერც ჩემი და ვერც ამხ. ამაღლობელის თეორიები, მაგრამ ვინც მოისურვებს **ძალდატანებით გაატაროს ეს** დღეს ან სოციალისტურ წყობილებაში, მისი პოლიტიკა დაიმსხვრევა უშედეგოთ. ამხ. ლენინი ცხოვრების ევოლიუციის კანონიდან გამოდის, და არ ცდილობს ერები ძალდატანებით, ჯოხით ხელში შედენოს როგორც ჯოგები სოციალისტურ წყობილებაში. აქ თეორიული კითხვებია და დავა ფართო მაშტაბით შესაძლებელია.

ამ მხრივ მოვიწონე მე მარქს-ენგელსის მიერ ირლანდიის საკითხის დაყენება. და ვაღიარე სწორად მიცემა დაჩაგრულ ერებისათვის თვითგამორკვევის უფლებისა და დამოუკიდებლობის. რა მოხდება ამის შემდეგ, დამყარდებოდა სრული ცენტრალიზმი, თუ არა, ეს ცხოვრების ევოლიუციის კანონზე არის დამოკიდებული, და არა მარქსის პოლიტიკაზე.

მოწინააღმდეგემ უნდა დაამტკიცოს, რომ მარქსს **მიზნად** ჰქონდა თავის პოლიტიკის დროს, მსოფლიოს სრული ცენტრალიზაცია. ეს შესაძლებელია ფაქტებითა და არგუმენტებით მარქსის პოლიტიკიდან.

4) თქვენ მეკითხებით, ჩემთვის ნაციონალური საკითხი პრინციპის საკითხია, თუ ტაქტიკის. რას ნიშნავს საკითხის ასე დაყენება? **პრინციპის საკითხი, იმავ დროს ტაქტიკის საკითხი არ შეიძლება იყოს?** ჟურნალისტი, რომელიც პოლიტიკურ საპასუხისმგებლო საკითხებზე სწერს, ასე უნდა სვამდეს საკითხს? მე ვიფიქრებდი, რომ თქვენ აქ „ლაპსუს კალამი" მოგივიდათ. მაგრამ თქვენ მეორე ადგილას დაჟინებით სწერთ: „ამხ. სან-დონს **სურს,** რომ პირველიც (პრინციპიც) დაიცოს და მეორეც (ტაქტიკაც), **ამიტომ (?) იგი ვერც ერთს იცავს და ვერც მეორეს**". (კურსივი ჩემია ს. დ.) რატომ ვერ ვიცავ, მე ეს ვერ გავიგე თქვენი წერილიდან. მაგრამ თუ კი თქვენ იცით, თუ მე რა **მსურს,** რაღას მეკითხებით და ადექით და დაარღვიეთ ჩემი დებულება.

ჩემთვის ერის საკითხი არის **პრინციპის საკითხი.** ეს მომენტი სავსებით შეწონილია კომუნისტურ წყობილებასთან, რომელსაც შეუძლია სრულყოს ერის არსებობა, მთლიანობა და კულტურული წარმატება. კომუნიზმი მე მინდა ერებისა და პიროვნების, ხალხის თავისუფლებისათვის.

მეორეს მხრით, ეროვნული საკითხი პოლიტიკის კითხვა არის, და ამიტომ იგი ტაქტიკური კითხვაც. რატომ, რისთვის? დაუფიქრდით და გაიგებთ.

მე კი შემდეგ თავში შევეხები მე-XIX-ე საუკ. ნაციონალურ მოძრაობებს, მარქს-ენგელსის მათდამი დამოკიდებულებას და მათ ეროვნულ პროგრამას კაპიტალიზმის, გარდამავალ პერიოდისა და სოციალისტურ წყობილებებში.

**სან-დონი**

*) „ყოველი ერის ცალ-ცალკე გაერთიანების" პრინციპი მეტად რეალური, გონივრული და სწორი იყო ყოვლის მხრივ მაშინდელი პერიოდისათვის, რადგან პოლონეთი განაწილებული იყო სამი აგრესიული სახელმწიფოს შორის, გერმანეთი დანაწილებული იყო წვრილ სახელმწიფოებად. ხოლო იტალია ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდა და გმინავდა ავსტრიის მონობის ქვეშ. ასეთს პირობებში ერების ცალ-ცალკე გაერთიანების მოთხოვნა და ზრუნვა მათი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, სხვა რომ არა ვსთქვათ მეტად, გონივრული ნაბიჯი და სწორი პოლიტიკური ხაზი იყო ს. დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანის მოქმედება გააცნოს და გადასცეს სწორედ ისე, როგორც ხდება სინამდვილეში მხოლოდ უფრო ნაზათ, მხატრულად და მოკლეთ.

დღეს ამით ვათავებ ამ წერილს და შემდეგ კიდევ დავუბრუნდები საერთოდ ამ საგანს.

ანლანი.

---

## ხრონიკა

**მოწ ფეთა მიერ გამართული საოპერო წარმოდგენა პ რველ სახელმწიფო კონსერვატორიაში.**

შაბათს, 9 ივნისს, კურს - დამთავრებულებმა მოწაფეებმა გამართეს საოპერო წარმოდგენა, მეოთხე მოქმედება ოპერა „აბესალომ და ეთერის" კონსერვატორიის დირექტორის პროფ. ზაქარია ფალიაშვილის ხელმძღვანელობით და ოპერა „იოლანტა" პროფ. ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

შთაბეჭდილება „აბესალომ და ეთერის" მეოთხე მოქმედებისაგან მიღებული იყო ისეთი მხატვრული, რომ ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა იწერებოდა დიდ სულიერ ამაღლების მომენტებში და რამდენად მეტს უსმენ „აბესალომს", იმდენად უფრო ძლიერდება სიყვარული მისადმი.

მე არ ვარ თაყვანისმცემელი, par exellauce, აღმოსავლეთური მუსიკისა, მაგრამ ეს ოპერა არ არის მთლად აღმოსავლეთური. მე მატკბობდა მუსიკა ანსამბლის ამსრულებლებთან ერთად. განსაკუთრებით კარგია მასწავლებელ რეშიმოვას მოწაფე ქალი მამამთავრიშვილი (ეთერი), რომელსაც მშვენიერი საოპერო აქვს, კარგი სკოლა, მკაფიო ხმა სასიამოვნო ლითონის ტემბრისა ყველა რეგისტრებში და აგრეთვე შესაფერისი გარეგნობა. ნათელას მღეროდა პროფ. ზელიონაიას კლასის მოწაფე ირინა—კარგი mezzo soqrano კარგი დიქციით. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მასწავლებელ რეშიმოვას კლასის მოწაფემ ბეჟანოვამ, რომელიც მღეროდა მარიხის პარტიას.

მომეწონა ტენორი კუმსიაშვილი დამსახურებული პროფ. რიადნოვის კლასის. თავისუფლად გრძნობს რა თავს მაღალ რეგისტრებში მოწაფე კუმსიაშვილს აქვს ყოველგვარი შესაძლებლობა გახდეს ძლიერ კარგი დრამატიული ტენორი და გაიკეთოს ბრწყინვალე საოპერო კარიერა.

დანარჩენი შემსრულებლები იყვნენ თავიანთ ადგილებზე. დიდი სიყვარული და ტემპერამენტი გამოიჩინა, როგორც სჩვევია მას ყოველთვის, დირიჟორ ივ. ფალიაშვილმა „იოლანტას" მუსიკალური მხარის ხელმძღვანელობის დროს.

იოლანტას პარტიას მღეროდა პროფ. რიადნოვის კლასის მოწაფე სოგომონოვი, რომელმაც ძლიერ მუსიკალურად შეასრულა თავისი ამოცანა: მშვენიერი ვოკალობა, წმინდა ხმა სასიამოვნო ტემბრის და კარგი მაღალი რეგისტრები.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა იმავე პროფ. მოწაფე ოუდენკომ (მართა), რომელსაც დიდი ლამაზი mezzo-soprano აქვს. კულტურული მომღერალი პროფ. ზელიონაიას მოწაფე ქალი დვორნიკოვა (ლაურა) კარგი ხვოლით, თუმცა დიდი ხმა არ აქვს, მაგრამ სასიამოვნო ტემბრის.

ლამაზად მღეროდა რეგენკამფი (ებნ-ბაკია) პროფ. ზელიონაიას კლასის, რომელსაც ბევრი ლითონიურობა აქვს ხმაში.

ძლიერ მონდომებით გადმოსცეს თავიანთი როლები მოწაფეებმა: ხოლოზოვი (ვოდემონი) და სივოვიჩმა (მეფე რენე) ორთავენი პროფ. რიადნოვის კლასისაა.

განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება დასტოვა პროფ. ჟაყელის კლასის კონსერვატორია დამთავრებულმა ბარიტონმა ვ. კაშაკაშვილმა, რომელმაც დიდის სიძლიერით იმღერა რობერტის პარტია „ვის შეუძლია შეედაროს ჩემს მატილდას" გენიალურ კომპოზიტორის ოპერის საუკეთესო არია. საზოგადოება ძლიერ თბილად შეხვდა და გაამეორებინა მეორე ხელ. ჯერ კიდევ 7 ივნის გამოსაშვებ გამოცდებზე მომღერალმა კაშკაშვილმა, რომელსაც მე მოუსმინე პირველად და რომელმაც იმღერა არია „მაზეპიდან" და არია „ერნანიდან" იტალიურ ენაზე გამოიჩინა თავი ბრწყინვალეთ. დიდი და ლამაზი ხმა თავისუფალი ყველა რეგისტრებში და განსაკუთრებით მაღალ რეგისტრებში, რბილი ტემბრით, ბარიტონი იშვიათი სილამაზის და კარგათ დამუშავებული ხმა—აი კაშაკაშვილის სიძლიერე. პირველად არავის არ სჯეროდა, რომ კაშაკაშვილი ასეთი კარგი ბარიტონი შეიქნებოდა, რადგანაც ძლიერ ცუდათ მღეროდა. კაშაკაშვილი 24 წლისაა ძლიერ ღარიბი ოჯახისშვილი და მისი მთავარი საზრუნავი იყო ლუკმა პურის შოვნა. მის ბუნებრივ მოწოდებას დიდი ხელი შეუშალა სამხედრო სამსახურმა, რადგანაც შეუთავსებელი იყო ერთმანეთთან სამხედრო სამსახური და გალობის გაკვეთილები. მაგრამ სამხედრო ბეგრის მოხდის შემდეგ მთლად ჩაეხვია მეცადინეობაში პროფ. ჟაყელის კლასში. 4 წლის შემდეგ ბრწყინვალეთ დაამთავრა კონსერვატორია.

პროფესორთა სამხატვრო საბჭოს დირექტორ ზაქარია ფალიაშვილის თავმჯდომარეობით 8 ივნის გამოაქვს შემდეგი დადგენილება: განსაკუთრებული ნიჭისათვის იშუამდგომლოს განათლების კომისრის წინაშე, რათა კაშაკაშვილი გაგზავნილ იქნეს საზღვარ გარეთ გასაუმჯობესებლად.

დიდი პატივი პროფ. ანნა იოსების ასულს ჟაყელს, რომელმაც ამდენი იმუშავა ნიჭიერ მოწაფესთვის. ამ წელიწადში კონსერვატორიას უფლება აქვს იამაყოს, რომ მის კედლებში მიიღო მუსიკალური განათლება ბარიტონმა, რომლის სახელი ცნობილი იქნება შორს მის სამშობლო საქართველოს საზღვრებიდან. სახელმწიფო ოპერის სამხატვრო ნაწილის გამგემ ივ. ფალიაშვილმა ბარიტონი კაშკაშვილი მიიწვია მომავალ სეზონში ტფილისის სახელმწიფო ოპერაში.

გ. გ.

---

**ქართული თეატრი.**

ივნისის 18-ს ხელოვანთა სასახლეში შესდგა საქართველოს ხელოვანთა მთავარი კომიტეტის სხდომა. სხდომის გახსნას შეადგენდა საუბრის გამართვა ქართული თეატრის შესახებ. სხდომაზედ მოწვეულნი იყვნენ როგორც თეატრალური ძალები, ისე მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

რეჟ. კოტე მარჯანიშვილმა თავის მოხსენებაში დაახასიათა მომავალი რეპერტუარი. რეპერტუარში შედის უპირველეს ყოვლისა „ვეფხის ტყაოსანი", რომლის ინსცენიროვკა უნდა იქნეს შესრულებული. რეჟისორი შიშს გამოსთქვამდა ამ სიძნელის დაძლევის გამო. ეს შიში უნდა გავიზიაროთ ჩვენც, მიუხედავად იმისა, რომ ამ დიდ მოვლენას ჩვენი თეატრის ცხოვრებაში ხელმძღვანელობს გამოცდილი და ნიჭიერი რეჟისორი. რეპერტუარში შედის, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი პიესები, როგორც ძველი (დადგმული ჩვენს სცენაზე), ისე ახალიც.

ჩვენ გვეშინოდა, რომ რეჟ. კ. მარჯანიშვილი თეატრს მისცემდა მხოლოდ იმ მიმართულებას, რომლის წარმომადგენელია ის. ვფიქრობდით, რომ ასეთი ნაბიჯი ჩვენი თეატრის განახლებისათვის შეუფერებელი იქნებოდა, რადგან იგი, როგორც ყოველი დიდი ნახტომი, ვერ შეეგუებოდა ქართული თეატრის წარსულსა და აწმყოს.

რეჟისორს გაუთვალისწინებია ეს მომენტი და დაუშვია საგრძნობი კომპრომისები.

კ. მარჯანიშვილის შემდეგ საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ლეო ქიაჩელი, რომელმაც გაარკვია თეატრის კრიზისი საზოგადოდ და ამ კრიზისის უმთავრესი ფაქტორი, აღსანიშნავი იყო პ. იაშვილის სიტყვა, რომლითაც დაახასიათდებოდა წასული სეზონი და მომავლის პერსპექტივები. ტიციან ტაბიძემ, როგორც ყოველთვის, მდიდარი მასალით დაასაბუთა ლიტერატურისა და თეატრის კავშირი და მწერლობის იმპულსი თეატრის მიმართ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მოსაზრება, რომელმაც ყურადღება მიაქცია ბერძნული პიესების დადგმას იმ დასაბუთებით, რომ ევროპის ცივილიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ბერძნული ცივილიზაციის განმეორება და თქვენ, რომელნიც მეტად ახლოსა ვართ საბერძნეთთან, ვერ დავტოვებთ საბერძნეთის კულტურას ყურადღების გარეშეო.

იყო სიტყვები კ. გამსახურდიას. ე. ანდრონიკაშვილის და სხ. დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა გრ. რობაქიძემ. ჩვენს წინაშე იდგა არა მარტო ესტეტი ორატორი, არამედ ფსიქოლოგიც და სოციოლოგიც. მან თეატრის პრობლემა დაუკავშირა „რასიულ ტემპერამენტს, ისტორიულ ევოლიუციის კარნახს და საერთოდ ქართული შემოქმედების ხასიათს. მართალია, გრ. რობაქიძეს ქონდა თავის სიტყვაში ისეთი ადგილები, რომელიც შეიძლება სერიოზული დისპუტის საგანს შეადგენდეს მაგრამ საერთოდ მისი სიტყვა მეტად სწორად უდგებოდა თეატრის პრობლემას.

დარბაზი გრძნობდა, რომ ჩვენი თეატრის ცხოვრებაში იწყება ახალი ერა, რომ ამისათვის არის როგორც საკმაო ძალები, ისე ობიექტური პირობებიც. უსასო პესიმიზმს არ შეიძლებოდა ადგილი და არც ქონდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მ. თოიძის სიტყვას), რადგან თეატრს სათავეში უდგას გამოცდილი და ნიჭიერი რეჟისორი, არის არტისტიული მასალა და მატერიალური რესურსებიც.

ვფიქრობთ, მომავალი სეზონი დასაწყისი უნდა გახდეს ჩვენი თეატრის განახლების.

სტუმარი.

---

**აკაკი ფალავას სტუდიის სასარგებლოდ** სასარგებლოდ საქართველოს მთავრობამ გაიღო დახმარება 250 მილიონი მანეთი.

---

**კომისიის დაარსება.** დაარსდა სახ. კომ. საბჭ. განკარგულებით საგანგებო კომისია ამხ. კანდელაკის, ყურულაშვილის, ბიბინეიშვილის და გენკინის შემადგენლობით, რომლის მიზანია სახელმწიფო აკადემიურ თეატრების მმართველობის საქმეებში ზოგიერთი ცვლილებების შეტანა და ხარჯთ-აღრიცხვის წინასწარი განხილვა.

---

**ქართულ მომღერლების გამოსვლა.** დღეს რუსთველის თეატრში გაიმართება საოპერო წარმოდგენა. მეორე კონსერვატორიის ქართველ მომღერლების მონაწილეობით და კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით.

---

## ღია ბარათი

აბესალომ და ეთერის მუსიკის ავტორს ზაქარია ფალიაშვილს.

ავტორის უფლების დარღვევა, ზოგჯერ მითვისებაც, რაც მე, ხსენებული ოპერის ლიბრეტოს ავტორს, თავს გადამხდა, იძულებულ მყოფს საჯაროთ მოგმართოთ, როგორც ამ ოპერის მუსიკის ავტორსა თქვენ კარგად იცით, რომ აბესალომ და ეთერის თქმულება თუმცა ხალხური, მაგრამ მისი სასცენო დალაგება, მრავალი რეპლიკა, ყველა არია, თუ სხვა რამ სამღერალი, გარდა ამაღამდელო ღამე არი ისა, რომელიც ჩემივე შევსებულია, სულ ჩემი საკუთარი ნაწარმოებია, ხალხურისებურად დაწერილი, თვით ხალხური ლექსებიც კი, რაც კი ლიბრეტოში შემიტანია, სახალხო თქმულებაში გაფანტულია, რათგანაც თქმულება მთლიანად არც ერთ ქართველ თემს არ მოეპოება. ჩონჩხის ასხმის დროს იძულებულ შევიქენ შემეტანა უცვლელად ფშაური ვერსიის ერთი ადგილი სახელდობრ წადი, უშტარო დედაო, ეთერის კარსა უარე, ჯერ კი ატირდი ბრალადა, მერმ თავი შაამჭვარე, რათგანაც სხვა გზა არ იყო. თუმცა ასეა, თუმცა ვოკალი მხარე ოპერისა ჩემი საკუთრებაა, მაინც ჩემდა დაუკითხავად არტისტიულ ტურნეშიაც გქონიათ შარშან თქვენ და ჭუმბურიძეს დასავლეთ საქართველოში წარმოსადგენად, ცალკე არიებიც გამოგიციათ რუსული ტექსტითაც, იმავ დროს კი, როცა მოხსენებული გაქვსთ სახელი და გვარი ვიღაც გადამთიელი მთარგმნელისა, კრინტიც არ დაგიძრავთ თუ, ქართული ტექსტი ვისი საკუთრება არის. აგრეთვე აბესალომ და ეთერიდან მარიხ ვარსკვლავის არია შუქურ ვარსკვლავი გაგიღებს ბედჩს კარს, შვილო, მალეო შეგიტანიათ ღამის თევაზე თქვენს ახალ ოპერაში, რომლის ლიბრეტოც ვ. გუნიას ეკუთვნის. წელს კონცერტულადაც შეასრულეთ. ალბად იფიქრეთ, რაკი ნამღერალი იქნებოდა და არა წარმოდგენილი, ჩემი უფლების უგულებელ ყოფა შესაძლებელი იქნებოდა. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ როცა სარგებლობაზე მიდგება საქმე მაშინ სხვისი სა[illegible]ნის დაუკითხავად მიღებული არ არის განათლებულ საზოგადოებაში. ასევე ხომ ალიოშა წუწუნავაც მოიქცა, როცა თავის ბენეფისად აბესალომ და ეთერის მეორე აქტი დასდგა და ჰონორარი რომ არ მოეცა ჩემთვის, აფიშას წააწერა, ლიბრეტო და კონსტრუკცია ა. წუწუნავას ეკუთვნისო. საიდან სადაო? ასი წარმოდგენის განმავლობაში ჩემს, როგორც ლიბრეტოს ავტორის უფლებას, არავინ ეცილებოდა, პრაგრამა-აფიშაშიაც ჩემი სახელი და გვარი იბეჭდებოდა და ეხლა გამოუჩნდა ავტორი? პირიქით ისეთი სულელური რამეა სწორედ იმ მეორე აქტში ჩართული ჩემდა დაუკითხავად, როგორც მაგალითად ქართველო, ხელი ხმალს იკარ და მეფეო შენსა გვირგვინსა ოთხ კუთხივ ჯვარი სწერია, რაც ყოვლად შეუწყნარებელია შინაარსის მიხედვით, რათგანაც აბესალომ და ეთერი არც პატრიოტული, არც კლერიკალური ნაწარმოებია მისი ხალხი წყალ წისქვილ ქვიშას იფიცავს და არა ჯვარსა.

თქვენ უცილობელი უფლება გაქვსთ აბესალომ და ეთერის მუსიკა მოასმენინოთ ხალხს. სიმფონიურად შესრულებული. რაც შეეხება ოპერის ვოკალ მხარეს, ე. ი. სიმღერას, სულ ერთია სპექტაკლით, თუ კონცერტით შესრულებულ იქნება, მისი უცილობელი უფლება მე მეკუთვნის, როგორც ტექსტის ლიბრეტის ავტორსა, ისევე, როგორც მისი უფლება, რომ ლიბრეტო სხვა რომელსამე ენაზე გადათარგმნილ იქნეს. ამის გამო უმორჩილესათ გთხოვთ ჩემთან შეუთანხმებლად აბესალომ და ეთერის არც გამოცემა—თარგმნა არც სპექტაკლად დადგმა, არც კონცერტად შესრულება აღარ ინებოთ არც თქვენ, არც სახელმწიფო ოპერის დირექციამ, რომელსაც ამით ვაფრთხილებ.

მოკლედ ყოველი უფლება დაცულია და მისი დარღვევისათვის, ვინც იქნება დამნაშავე, სამართალში გავიწვევ პასუხის საგებლად.

პეტრე მირიანიშვილი.

---

## წერილები რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გაზეთ „ტრიბუნის" მე-481 №-ში ჩემს წინააღმდეგ მოთავსებულია მოქ. ივანე სპირიდონის ძე კანდელაკის წერილი, რომელმაც, როგორც ჰგავს, ურცხვად შეიყვანა შეცდომაში როგორც რედაქცია, ისე მკითხველებიც, ამისათვის მომეცით საშვალება თქვენი პატივცემულ გაზეთში მოვათავსო შემდეგი ახსნა განმარტება:

მოქ. ივ. სპ. კანდელაკს დაუგირავე საათი არა სავაჭრო მიზნით, არამედ ოჯახური მდგომარეობის გამო; ამას მოწმობს ბევრი სხვა და სხვა ფაქტები და განსაკუთრებით კი—ოჯახობის ავადმყოფობა, რომელიც დღესაც ავად არის. მოქ. კანდელაკი თავის წერილში ამბობს, თითქოს მისთვის მე საათი დამეგირავებიოს მაისის შუა რიცხვებში; მის მიერ გაცემული ხელ-წერილი ამტკიცებს, რომ მან საათი მიიღო ჩემგან 27 ივნისს. მაშასადამე, მისი განმარტება სიმართლეს არ შეიცავს. არც ის შეიცავს სიმართლეს, თითქოს მე სამსახურში შევსულიყო 16 მაისს, ხოლო ის კი—3 ივნისს. ჩემს მიერ შეკრებილი ცნობებიდან სჩანს, რომ მოქ. კანდელაკი მიღებულია სამსახურში 6 ივნისს, ხოლო მე კი—16 ივნისს. ამგვარად საათის დაგირავების დროს ორივენი სამსახურში ვიყავით. რაც შეეხება იმას, თითქოს მე ხორცით სავაჭრო დუქანი მქონდეს და ფული გამომერთმიოს მისთვის არა ოჯახური მდგომარეობის გამო, არამედ სავაჭრო მიზნით, ესეც სიმართლეს მოკლებულია. სპეკულიაციის და ცარცვაგლეჯის მადა, როგორც ვხედავთ მოქ. კანდელაკს უფრო გაღვიძებული ქონ[illegible]ია, ვიდრე მე. ჩემს მიერ რედაქციაში წარდგენილ დოკუმენტიდან სჩანს, რომ მე არასოდეს არავითარი სავაჭრო დაწესებულება არ მქონებია გახსნილი. რაც შეეხება იმას, თითქოს მე სამსახურში არ ვიქენი მიღებული ჩემი არა საიმედო და არა სინდისიერობის გამო, ამის შესახებ ახლო მომავალში სხვა წესით მოვითხოვ პასუხს მისგან, ხოლო ახლა კი ვეტყვი, რომ არც ერთი პატიოსანი და კეთილ სინდისიერი მოქალაქე არ იკადრებს ისარგებლოს სხვისი გაჭირვებით და მიითვისოს დაგირავებული ნივთები. ჩემთან ანგარიშის გასწორების გარეშემო აღძრულმა კითხვამ, მოქ: კანდელაკი ჯერ-ჯერობით არტელის სარევიზიო კომისიიდან გამორიცხა. მე ვფიქრობ, რომ პატიოსან და კეთილ-სინდისიერ ადამიანს ეს არ დაემართებოდა. ამასთანავე დავსძენ, რომ მოქ. კანდელაკმა დაიჭირა ორი თვის ჯამაგირი, სულ 3,200,000 მან. თავის წერილში კი ამბობს, რომ თითქოს მას მიეღოს მხოლოდ 1,200,000 მან. არ ვფიქრობ, რომ კეთილ სინდისიერმა ადამიანმა თავის გასამართლებლად ასე მოიხმაროს ციფრები.

შალვა იმნაიშვილი.

**რედაქციისაგან:** მოქ. შალვა იმნაიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები მოწმობენ, რომ 1) ივანე სპირიდონის ძე კანდელაკი სამსახურში ჩაყენებულია 1922 წლის 16 ივნისს, ხოლო მის მიერ გაცემული ბარათი გირაოს მიღებისა დათარიღებულია 1922 წლის 27 ივნისით. აგრეთვე წარმოდგენილი სამი ქვითარიდან ცხადია, რომ ელისაბედის ქუჩაზედ მდებარე დარაბის № 172 საიჯარო გადასახადი ალმასკომის სალაროს მიუღია 1922 წ. თებერვალში, ივნისში და აგვისტოში არა შალვა იმნაიშვილისაგან, არამედ სხვა იმნაიშვილისაგან. ამით ვსპობთ ხსენებულ პირთა შორის ყოველივე კამათს ჩვენ გაზეთში.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

---

**დაჰკარგე** 16 ივნისს, მოწმობა მოცემული მე-10 რკ. გზის სასწავლებლიდან ამბერკო ნიკოლოზის ძე ქორქოლიანის სახელზედ 9 ივნისს № 231, ამიერიდან გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1—1

---

## ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიმოსვლის ნუსხა

### ტფილისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| მატ. № 1 | სწრაფი მოსკოვში შაბათობით | 1600 |
| მატ. № 1 | სწრაფი პეტროგრ. პარასკეობ. | 1600 |
| მატ. № 1 | „ „ სამშაბათ. | 1600 |
| მატ. № 2 | „ ბათუმში სამშაბათ. | 16.40 |
| მატ. № 3 | როსტოვში ყოველდღე | 23.35 |
| მატ. № 3 | კახეთში „ | 7.15 |
| მატ. № 4 | ბათუმში „ | 8.05 |
| მატ. № 8 | ბათუმში „ | 20.40 |
| მატ. № 20 | ბორჯომში „ | 15.20 |
| მატ. № 21 | ბაქოში „ | 11.25 |
| მატ. № 22 | ბათუმში „ | 0.20 |
| მატ. № 3 | ერივანში კენტი რიცხვში | 18.00 |
| მატ. № 35 | კახეთში „ „ | 10.35 |
| მატ. № 31 | ჯულფაში წყილ რიცხვში | 23.00 |

### ტფილისში მოდის

| | | |
|---|---|---|
| მატ. № 1 | ბათუმიდან შაბათობით | 14.40 |
| მატ. № 2 | მოსკოვიდან სამშაბათ. | 14.40 |
| მატ. № 2 | პეტროგრადიდან ოთხშაბათ. | 15.30 |
| მატ. № 2 | პეტროგრადიდან პარასკეობ. | 15.30 |
| მატ. № 3 | ბათუმიდან ყოველდღე | 22.15 |
| მატ. № 4 | როსტოვიდან „ | 6.35 |
| მატ. № 4 | კახეთიდან „ | 21.50 |
| მატ. № 7 | ბათუმიდან „ | 8.50 |
| მატ. № 19 | ბორჯომიდან „ | 8.00 |
| მატ. № 21 | ბათუმიდან „ | 4.20 |
| მატ. № 22 | ბაქოდან „ | 14.50 |
| მატ. № 4 | ერევნიდან წყვილ რიცხვში | 10.20 |
| მატ. № 3 | კახეთიდან „ „ | 18.45 |
| მატ. № 34 | ჯულფიდან კენტ რიცხვში | 18.15 |

### საგარაკო

| | | |
|---|---|---|
| მატ. № 18 | ბორჯომში კვირაობით | 7.10 |
| მატ. № 16 | ხაშურში შაბათობით და უქმის წინადღით | 1.55 |
| მატ. № 17 | ბორჯომიდან კვირაობით | 11.20 |
| მატ. № 15 | ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინადღით | 5.10 |

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 379 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტეინის ქუჩ. № 4